დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Local Council (Sakrebulo) of Dmanisi Municipality

1700 ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. 41
ტელ.: 0 (360) 22-24-224, 22-16-40

41,Tsminda Nino Street, 1700 Dmanisi town, Georgia
Tel.: 0 (360) 22-24-24, 22-16-40

17 აპრილი 2014 წელი ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №23

საქართველოს ,,საბიუჯეტო კოდექსის'' 88-ე მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, დანართის თანახმად.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნოდარ ადუაშვილი**

დმანისის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის №1 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების, გადაასახდელების და გარდამავალი ნაშთის გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 4910,0 ათას ლარს; მათ შორის: გადასახადები - 2000,0 ათასი ლარი, გრანტები - 110,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 1000,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება - 200,0 ათასი ლარი და გარდამავალი ნაშთი, მიმართული ხარჯების დასაფარად - 1600,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება შვიდჯერ, მათ შორის, ერთი შემთხვევა კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადაადგილებით, ხუთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის №466, №311, №380, №811 და №1105 განკარგულებით გამოყოფილი თანხების შესაბამისად და ერთი შემთხვევა შემოსავლების და ხარჯების წლიური გეგმების დაზუსტებით.

2013 წლის განმავლობაში დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების საკასო შესრულებამ შეადგინა 91,1% (გეგმა 8005,4 ათასი ლარი, ფაქტი 7296,4 ათასი ლარი), მათ შორის:

ა) გადასახადები: ქონების გადასახადი საწარმოთა ქონებაზე - 99,9% (გეგმა 1120,0 ათასი ლარი, ფაქტი - 1119,4 ათასი ლარი); ქონების გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 102,8% (გეგმა 705,0 ათასი ლარი, ფაქტი 724,3 ათასი ლარი); ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 96,9% (გეგმა - 75,0 ათასი ლარი, ფაქტი - 72,7 ათასი ლარი);

ბ) გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 85,8% (გეგმა - 5297,4 ათასი ლარი, ფაქტი - 4543,3 ათასი ლარი); აქედან სპეციალური ტრანსფერების წილი შეადგენს 85,5%-ს (გეგმა - 5187,4 ათასი ლარი, ფაქტი - 4433,4 ათასი ლარი);

გ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 102,5% (გეგმა - 788,0 ათასი ლარი, ფაქტი - 807,4 ათასი ლარი); აქედან მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 99,8% (გეგმა - 570,0 ათასი ლარი, ფაქტი - 569,0 ათასი ლარი).

დმანისის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები დაგეგმილი იყო 9605,4 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულია 8410,1 ათასი ლარი ანუ 87,6 %.მათ შორის:

– წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები – 93,6% (გეგმა - 1717,8 ათასი ლარი,ფაქტიური - 1608,7 ათასი ლარი);

– ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება - 100% (გეგმა - 62,6 ათასი ლარი, ფაქტიური - 62,6 ათასი ლარი);

– საგანგებო სიტუაციების მართვა - 97,5% (გეგმა - 149,6 ათასი ლარი, ფაქტიური - 145.8 ათასი ლარი);

– ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები - 84,4% (გეგმა - 6875,4ათასი ლარი, ფაქტიური - 5800,1 ათასი ლარი);

– საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები - 100%, რომლის გეგმა განსაზღვრული იყო - 182,0 ათასი ლარი;

– სპორტული და კულტურული ღონისძიებების სუბსიდირებაზე -99,2% (გეგმა - 406,6 ათასი ლარი, ფაქტიური - 403,5 ათასი ლარი);

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისათვის -98,1% (გეგმა - 211,4 ათასი ლარი, ფაქტიური - 207,4 ათასი ლარი);

ზემოთაღნიშნული ხარჯებიდან:

ბ) საქონელი და მომსახურების გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 835,5 ათასი ლარი, ანუ მთლიანი ხარჯების 9,9 %. მათ შორის: ოფისის ხარჯები - 3,5 %, კომუნალური ხარჯები - 1,8 %, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის ხარჯები - 1,6 %;

გ) სუბსიდიები - 6,1 %;

დ) სოციალურ უზრუნველყოფაზე - 2,5 %;

ე) არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 67 %, რაც ძირითადად გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯებზეა გაცემული - 58,3 %.

2014 წლის 1 იანვრისს მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ერიცხება დავალიანება 221,1 ათასი ლარი. აღნიშნული დავალიანებებიდან 175,4 ათასი ლარის ოდენობით შეჩერებულია შესრულებული სამუშაოებზე ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი ბრძანების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან გაცემული იქნა 72,8 ათასი ლარი; მათ შორის: სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ბინების აღდგენისათვის - 21,3 ათასი ლარი, დაკრძალვის ხარჯებზე - 300 ლარი, სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის - 15,0 ათასი ლარი; სოც.დაუცველთა ოპერაციის ხარჯები - 1,0 ათასი ლარი; ქალაქ დმანისის ცენტრის კეთილმოწყობაზე - 3,5 ათასი ლარი,სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ გომარეთის სასმელი წყლის მაგისტრალზე - 2,2 ათასი ლარი და ერთჯერადი დახმარების სახით - 3,5 ათასი ლარი.კამარლოს სასმელი წყლის სისტემის აღდგენისათვის 4,0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის სოფლებში დაზიანებული ხიდების და გზების აღსადგენად 5,5 ათასი ლარი. დიდთოვლობის შედეგად ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაწმენდაზე 10,0 ათასი ლარი.

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე გარდამავალი ნაშთის მოცულობამ შეადგინა 564,3 ათასი ლარი.